სამაგისტრო პროექტი: ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია ქსელურ საცალო ვაჭრობის ობიექტებში

ჯგუფი №22:

ვერიკო ჭიღლაძე

შოთა ზურაბაშვილი

დავით ხუნდაძე

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის სკოლაში, ბიზნესის ადმინისტრირების მენჯმენტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი: ნათია ზედგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომი ეთმობა საქართველოში საცალო ვაჭრობის ქსელურ ობიექტებში ადამიანური რესურსების განვითარების პროცესების განხილვას. პირველ რიგში ყურადღება იქნება გამახვილებული საკითხისადმი თეორიულ მიდგომებზე, რაც საკითხის შესწავლის საფუძველს იძლევა. ნაშრომში წარმოდგენილია პუნქტები თანამშრომელთა განვითარების მნიშვნელობაზე კომპანიისა და ქვეყნის განვითარებაში, რაც პროექტის მნიშვნელობას უსვავს ხაზს.

ძირითად ნაწილში აღწერილია მთავარი პრობლემები და პროექტის მიზანი, რომელიც პრობლემების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. საცალო ვაჭრობის ქსელური ობიექტების ადამიანური რესურსების თვისობრივი კვლევა იძლევა მდგომარეობის შეფასებისა და სუსტი მხარეების გამოვლენის მთავარ საფუძველს.

პროექტის შემდეგ ეტაპზე განხილულია საერთაშორისო გამოცდილების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. კვლევის შედეგებისა და საერთაშორისო გამოცდილების შეჯერების საფუძველზე გაწერილია რეკომენდაციები, რომელიც საცალო ვაჭრობის ობიექტებს დაეხმარება ორგანიზაციაში თანამშრომელთა განვითარების პროცესების დახვეწასა და შედეგების გაუმჯობესებაში.